დანართი №4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 21-23 ივლისი, 2026 წელი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 14 აგვისტო, 2026 წელი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ია მოსაშვილი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

გაგა გვენეტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ეკა კაველიძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ციცი პაპუნაშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	11100
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 12467 შეჩერებული: 13491
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 8091 შეჩერებული: 1205
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 763 მათ შორის აფილირებული: 279 მოწვეული: 484 სამეცნიერო:
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	23.06.2021

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	23.06.2021 MES 9 21 0000620652
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	1/7/2027
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	16400

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტმა – სეუ-მ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის მიერ შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც უნივერსიტეტში ვიზიტი 2026 წლის 21–23 ივლისს განახორციელა.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ასევე, გაიმართა ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა შეფასების მეთოდოლოგია, გადანაწილდა პასუხისმგებლობები და შეთანხმდა ვიზიტის სამუშაო ფორმატი.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ინტერვიუები უნივერსიტეტის მმართველი გუნდის, თვითშეფასების ჯგუფის, ფაკულტეტების დეკანების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევითი, საერთაშორისო ურთიერთობების, კარიერული განვითარების, სტუდენტური სერვისების, ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმომადგენლებთან. ასევე გაიმართა შეხვედრები დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და საერთაშორისო სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის სასწავლო ინფრასტრუქტურა, კლინიკური ბაზები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის დასაბუთებას, არსებული და დაგეგმილი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების საკმარისობას, კლინიკური და

პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობას, საგანმანათლებლო პროცესის მართვასა და უნივერსიტეტის შესაძლებლობას, გაზრდილი კონტიგენტის პირობებში შეინარჩუნოს სწავლების, კვლევისა და სტუდენტური სერვისების ხარისხი.

დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმები, მზარდი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, აგრეთვე პროცესების ციფრულად მართვის გამართული, ავტომატიზებული სისტემა. ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არასაკმარისად იყო წარმოდგენილი სტუდენტთა მოთხოვნილი კონტიგენტის რაოდენობრივი დასაბუთება, მათ შორის რესურსების საკმარისობის, აკადემიური დატვირთვის, კვლევითი შესაძლებლობებისა და პროგრამების მიხედვით დაგეგმილი ზრდის დეტალური პროგნოზები, განსაკუთრებით მედიცინის პროგრამისა და ცალკეული ქართულენოვანი პროგრამების შემთხვევაში.

შეფასება განხორციელდა საქართველოს ავტორიზაციის სტანდარტების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების, ინტერვიუებისა და ექსპერტთა პროფესიული შეფასების საფუძველზე. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაეცნოთ ექსპერტთა ჯგუფის პირველადი მიგნებები. მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა – სეუ-მ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე საგანმანათლებლო, კვლევითი და ინფრასტრუქტურული მიმართულებებით. უნივერსიტეტმა გააძლიერა საერთაშორისო თანამშრომლობა, განავითარა საგანმანათლებლო პროგრამების პორტფელი და მნიშვნელოვნად გააფართოვა სასწავლო, კვლევითი და კლინიკური ინფრასტრუქტურა.

დადებითად შეფასდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პრაქტიკა, პროცესების გაციფრულება და ელექტრონული სერვისების დანერგვა, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების ეფექტიან მართვას.

აღსანიშნავია ადამიანური რესურსების, კლინიკური ბაზებისა და პრაქტიკის ობიექტების გაფართოების ტენდენცია, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისა და საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. უნივერსიტეტი თანმიმდევრულად ავითარებს თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და სტუდენტური გამოცდილების გაუმჯობესებას.

ამასთანავე, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის მიერ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, მიზანშეწონილია რაოდენობრივი ანალიზებისა და პროგნოზების კიდევ უფრო გაძლიერება, რათა მოთხოვნილი კონტიგენტის ზრდა სრულად იყოს დასაბუთებული არსებული და დაგეგმილი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და კვლევითი რესურსების შესაძლებლობებით.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

-

რჩევების შეჯამება

სტანდარტი 1. სასურველია, უნივერსიტეტმა შემდგომშიც განავითაროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რაოდენობრივი მოდელი და პერიოდულად განაახლოს პროგრამების, ფაკულტეტებისა და სწავლების ენების მიხედვით სამიზნე მაჩვენებლები და შესაბამისი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და კვლევითი რესურსების საჭიროებები.

სტანდარტი 2: ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის ფარგლებში, სასურველია ინსტიტუციურ დონეზე ფორმალიზდეს და ტექნოლოგიურად გაძლიერდეს ხელოვნური ინტელექტის (AI) მიერ გენერირებული ტექსტების არამიზნობრივი გამოყენების დეტექციისა და პრევენციის მექანიზმები.

სტანდარტი 3:

- სასურველია, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის რაოდენობრივი მოდელი პერიოდულად განახლდეს და მასში კიდევ უფრო ინტეგრირებულად აისახოს კლინიკური კურსებისა და როტაციების მიხედვით სტუდენტთა ჯგუფების განაწილება, კლინიკური

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

ბაზების ფაქტობრივი გამტარუნარიანობა, პროფილურ პაციენტთა ნაკადი და კლინიკური ზედამხედველობის რესურსი.

- მოდელის შემდგომი განვითარებისას მიზანშეწონილია გადაიხედოს საბაზისო/პრეკლინიკური პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყენებული 25-სტუდენტიანი ჯგუფის პარამეტრი და გათვალისწინებულ იქნეს მცირე ჯგუფში სტუდენტზე ორიენტირებული აქტიური სწავლების, პრაქტიკული მუშაობისა და ეფექტური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად უფრო ოპტიმალური, მათ შორის არაუმეტეს 15-სტუდენტიანი ჯგუფის ზომა.

სტანდარტი 4: სასურველია, დაწესებულებამ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ადამიანური რესურსის დაგეგმვისას რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად უზრუნველყოს პერსონალის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობისა და დატვირთვის სისტემური შეფასება, მათ შორის სხვა პროგრამებში ჩართულობისა და კლინიკური მიმართულებების/როტაციების მიხედვით საჭირო ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

სტანდარტი 6: სასურველია, უნივერსიტეტმა შემდგომშიც სისტემურად გამოიყენოს და პერიოდულად განაახლოს აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი დატვირთვის კომპლექსური მონიტორინგის მოდელი, განსაკუთრებით სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

სტანდარტი 7:

- სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმილ ვადებში დაასრულოს მიმდინარე დამხმარე ინფრასტრუქტურის სარემონტო და აღჭურვითი სამუშაოები და სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პარალელურად გააგრძელოს შესაბამისი სივრცეების გამოყენებისა და დატვირთვის მონიტორინგი.

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის პარალელურად პროგრამებისა და შენობების მიხედვით სისტემატურად განახორციელოს აუდიტორიების, საბიბლიოთეკო სამუშაო ადგილების, სიმულაციური ლაბორატორიების და სხვა საერთო სივრცეების ფაქტობრივი დატვირთვის მონიტორინგი და შედეგები დაუკავშიროს ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ დაგეგმვას.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

–

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

*X განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **მოთხოვნილზე ნაკლები** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დამატებითი დოკუმენტაცია. წარმოდგენილმა მასალებმა მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია წარმოადგინა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენდა. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დამატებით დეტალიზებული რაოდენობრივი მოდელი, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის ადამიანური და სიმულაციური რესურსების გაანგარიშება, აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი დატვირთვის კომპლექსური ანალიზისა და მონიტორინგის მექანიზმი, ასევე განმარტებები მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დანიშნულებისა და სასწავლო პროცესთან მათი კავშირის შესახებ.
დამატებითი მტკიცებულებების შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დასკვნის პროექტში რეკომენდაციების საფუძვლად იდენტიფიცირებული საკითხების ნაწილი დამატებით იქნა დასაბუთებული და აღარ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნასთან შეუსაბამობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია შესაბამის ნაწილებში და განვითარების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში.

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს *☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს* *☐ არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია სტუდენტზე, ხარისხიანი განათლების, კვლევითი საქმიანობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე. მისია, ხედვა და უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის პრინციპებს და ქმნის ინსტიტუციური განვითარების საფუძველს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა და მათი მონიტორინგის მექანიზმები ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემურად გეგმავს ინსტიტუციურ განვითარებას. სტრატეგიულ დოკუმენტებში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა განხილულია როგორც უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, უნივერსიტეტის ბრენდის გაძლიერებას, ახალი ბაზრების ათვისებასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას. დოკუმენტები განსაზღვრავს განვითარების ძირითად მიმართულებებს, შესაბამის აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებსა და მონიტორინგის ინდიკატორებს, რაც სტრატეგიული მართვის სისტემურ მიდგომაზე მიუთითებს. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად ავითარებს ინფრასტრუქტურას, ზრდის საერთაშორისო პარტნიორთა ქსელს, ახორციელებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას და ადამიანური რესურსების გაძლიერებას. ასევე, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გამოიყენება გარემოს ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და მონიტორინგის მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ანალიზი“, რომელშიც წარმოდგენილია ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის ფორმულებზე დაფუძნებული გაანგარიშება. დოკუმენტში გამოყენებულია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია და წარმოდგენილია პერსონალის, სასწავლო ჯგუფებისა და სივრცითი რესურსების გათვლები, მათ შორის მედიცინის პროგრამისთვის შედარებით დეტალური ანალიზი.

ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციით, ხოლო შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებით, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო დააზუსტა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვის რაოდენობრივი მოდელი. წარმოდგენილი მოდელი პროგრამების, სწავლების ენებისა და საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით ასახავს სტუდენტთა რაოდენობას და უკავშირებს მას შესაბამის ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. დამატებით წარმოდგენილმა განმარტებებმა ასევე დააზუსტა კონტინგენტის ზრდის კავშირი უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარების მიმართულებებთან და ხარისხის შენარჩუნების მექანიზმებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია საკმარის საფუძველს ქმნის იმის დასადასტურებლად, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და რესურსების შეფასების შესაბამისი მექანიზმი. ამასთან, მოდელის შემდგომი განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამების, ფაკულტეტებისა და სწავლების ენების მიხედვით ეტაპობრივი სამიზნე მაჩვენებლებისა და შესაბამისი რესურსების საჭიროებების სისტემური განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები პროგრამების მიხედვით;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტმა შემდგომშიც განავითაროს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რაოდენობრივი მოდელი და პერიოდულად განაახლოს პროგრამების, ფაკულტეტებისა და სწავლების ენების მიხედვით სამიზნე მაჩვენებლები და

შესაბამისი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და კვლევითი რესურსების საჭიროებები.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტთა მოთხოვნილი გაზრდილი კონტინგენტის ადმინისტრირებას. უნივერსიტეტის მართვის პროცესი ფორმალიზებულია და ეფუძნება შიდა მარეგულირებელ აქტებს. ადმინისტრირების პროცესში გამოიყენება ინტეგრირებული ელექტრონული სისტემები, კერძოდ, საქმისწარმოების სისტემა reg.seu.edu.ge და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა emis.seu.edu.ge. ექსპერტთა ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ონლაინ პლატფორმებს იყენებს დოკუმენტბრუნვისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული თუ აკადემიური მიზნებისთვის. ონლაინ პლატფორმების გამართული ფუნქციონირება უზრუნველყოფს პროცესების ავტომატიზაციას და წარმოადგენს სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის მართვის ხელშემწყობ ფაქტორს. ამასთან, ინტერვიუებისას გამოიკვეთა უნივერსიტეტის მზაობა, სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად დაიმატოს და უზრუნველყოს შესაბამისი ადამიანური რესურსი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიმართულებით, უნივერსიტეტი ატარებს კვლევებს (სასწავლო კურსების, პროგრამების, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევები და ა.შ.) და შედეგებს იყენებს PDCA ციკლის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელება და უკუკავშირის მექანიზმები რეგლამენტირებულია. სტუდენტთა შეფასებებთან დაკავშირებული გასაჩივრების (აპელაციის) საკითხები დარეგულირებულია და ონლაინ ბაზის (emis) მეშვეობით მიმდინარეობს დადგენილი წესების დაცვით, რასაც ადასტურებს 2025-2026 სასწავლო

წლის გაზაფხულის სემესტრის სტატისტიკაც (წარმოებული 416 საჩივრიდან 27 შემთხვევაში შეიცვალა შეფასება, 11 კი გაუქმდა).

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 92 საპარტნიორო ხელშეკრულება. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში 63 სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით, ხოლო აკადემიური მობილობით უცხოეთში გაემგზავრა 22 აკადემიური და 15 ადმინისტრაციული პერსონალი. უნივერსიტეტმა მოკლევადიანი გაცვლების ფარგლებში უმასპინძლა 22 უცხოელ მოწვეულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. რიგ შემთხვევებში, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა სრულად ფინანსდება უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტით (მაგალითად, გერმანიაში, პოტსდამის უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის დაფინანსება). სეუ სტუდენტებს სთავაზობს ორმაგი დიპლომის პროგრამებს ბრაგანცას პოლიტექნიკურ, ვარშავის ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და მიტვეიდას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტებთან. დაწესებულება მოიპოვებს გარე დაფინანსებებსაც (Erasmus+ Ka171, Jean Monnet Module, DAAD), რაც აისახება 2026-2029 წლების ინტერნაციონალიზაციის საორიენტაციო გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს კონტინგენტის ზრდის პირობებს.

ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კუთხით, უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი და დანერგილია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა Turnitin, რომელიც სავალდებულოა ყველა დონის ნაშრომისთვის. დამატებით, ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პრევენციული მექანიზმები სტუდენტთა მიერ ხელოვნური ინტელექტის (AI) არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ტექნოლოგიური განვითარების ტემპიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულება მუდმივ მონიტორინგსა და ინსტიტუციურ გაძლიერებას მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს დებულება და შინაგანაწესი;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ანალიზი;
- სტუდენტთა საჩივრების/აპელაციების სტატისტიკური მონაცემები (2025-2026);
- ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა;
- ეთიკის კოდექსი;
- ინტერნაციონალიზაციის საორიენტაციო გეგმა (2026-2029) და ანგარიშები;
- ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან და სტუდენტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

–

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
- ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის ფარგლებში, სასურველია ინსტიტუციურ დონეზე ფორმალიზდეს და ტექნოლოგიურად გაძლიერდეს ხელოვნური ინტელექტის (AI) მიერ გენერირებული ტექსტების არამიზნობრივი გამოყენების დეტექციისა და პრევენციის მექანიზმები.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
3.1 *საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება* უნივერსიტეტს გააჩნია 4 ფაკულტეტი, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და ერთსაფეხურიან პროგრამებს. კერძოდ: - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხორციელდება 19 საბაკალავრო პროგრამა (მათ შორის 12 180 კრედიტიანი პროგრამა) და 15 სამაგისტრო პროგრამა; - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება 6 საბაკალავრო პროგრამა (მათ შორის 3 180 კრედიტიანი პროგრამა) და 2 სამაგისტრო პროგრამა; - იურიდიულ ფაკულტეტზე ხორციელდება სამართლის საბაკალავრო პროგრამა 180 კრედიტიანი, სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიანი და 1 სამაგისტრო პროგრამა; - მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება სამი ინგლისურენოვანი პროგრამა.

უნივერსიტეტს გააჩნია დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“, რომელიც ითვალისწინებს პროცესს პროგრამის შემუშავების ინიცირების საფეხურიდან, პროგრამის საბოლოო რედაქციის დამტკიცების ეტაპის ჩათვლით. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამების შექმნა/გადასინჯვის პროცესში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირები - პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და მათი უკუკავშირის გათვალისწინება ხდება სამუშაო პროცესების დროს. აღნიშნულ პროცესებში ლექტორების მონაწილეობა დადასტურა ინტერვიუების დროსაც და ამავდროულად, წარმოდგენილია დაინტერესებული პირების გამოკითხვისა და შეფასების შედეგები, 2025 წლის მდგომარეობით.

ამასთან, აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანალიზი 2024-2025 წლის და 2025-2026 წლების მიხედვით, სადაც ნაჩვენებია ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასებები ფაკულტეტების მიხედვით. აღნიშნული მონაცემების ანალიზი მომზადებულია ხარისხის განვითარების სამსახურის მიერ, რაც უზრუნველყოფს გამოკითხვის შედეგების სისტემურ ანალიზს და შესაბამისი რეაგირების საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის ჭრილში, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ასევე დამსაქმებლის პრაქტიკის სტუდენტებით კმაყოფილების კვლევა - 2025-2026 შემოდგომა, რომელიც სხვადასხვა პროგრამების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას ასახავს.

ამას გარდა, უნივერსიტეტს 2024 წელს ჩატარებული აქვს კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელშიც 500-მდე რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, შეფასდა ყველა პროგრამა და ასევე, დასაქმების, სწავლის გაგრძელებისა და შრომის ბაზარზე საჭირო უნარების მნიშვნელობა.

უნივერსიტეტს 2025 წელს ჩატარებული აქვს ასევე სტუდენტთა დასაქმების კვლევა, რომლის მიზნებისთვისაც სამიზნე აუდიტორიად განსაზღვრული იყო 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები - 8611 სტუდენტი. კვლევამ პროგრამების ჭრილში აჩვენა მოქმედი სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი.

2025 წელს ასევე ჩატარდა სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება, რომელშიც 10 000 მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტებმა. შეფასდა სტანდარტებით გათვალისწინებული თითქმის ყველა საკითხი, მათ შორის ელექტრონული სასწავლო ბაზა, ინტერნაციონალიზაციის, კვლევითი პროექტების/კონფერენციისა და სხვა კრიტერიუმები, მათ შორის საგამოცდო

პროცესი, გასაჩვრების მექანიზმების სიმარტივე და დროული რეაგირება, რეგიონებში გამოცდების ჩატარების შესაძლებლობა, და ა.შ.

უნივერსიტეტს ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა შემდეგი მიმართულებებით:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროგრამებისთვის, 2024 წელს;
- იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, 2025 წელს;
- Stem იმართულებით 2025 წელს;
- ხოლო მედიცინის მიმართულების პროგრამებზე, 2021 და 2023 წლებში.

მაგალითად, სამართლის პროგრამების ჭრილში, შრომის ბაზრის კვლევაში აქცენტი გაკეთებულია სექტორების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელზე და მსგავსი/განმასხვავებელი საჭირო უნარ-ჩვევების მნიშნელობაზე, სასწავლო კურსებში პრაქტიკის ელემენტის სავალდებულოობაზე და დასაქმების მიზნებისთვის სხვა საჭირო ელემენტების სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციაზე.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი 2024-2025 წლის სრული სასწავლო წლის და ასევე, 2025-2026 წლის შემოდგომის სემესტრის. ანალიზში განსაზღვრულია ყველა პროგრამის ჭრილში შეფასებების გრადაციების მიხედვით სტუდენტების აკადემიური მოსწრების პროცენტული მაჩვენებელი.

უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს სასწავლო კურსების თვითშეფასებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე ვლინდება საყურადღებო საკითხები და მიღებული ზომები. მაგალითად სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშებში გამოკვეთილია სასწავლო კურსებზე საკონტაქტო საათების ზრდის საჭიროება, რათა უფრო უკეთ მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევა.

მსგავსი პრაქტიკაა დანერგილი სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსების შეფასებების შემთხვევაშიც, რაზეც ასევე დგება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც, მაგალითად განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, გამოიკვეთა შეფასების ფორმების დივერსიფიკაციის საჭიროება, ინდივიდუალური დავალებების პარალელურად, ჯგუფური სამუშაოების დამატება.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმებას, შესაბამისი დოკუმენტის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს შეაძლებლობას, სტუდენტების მიერ პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, გარე/შიდა მობილობის საშუალებას.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით, უნივერსიტეტს გააჩნია რესურსი პროცესების უწყვეტი და სტაბილური მართვის ნაწილში, სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის ფონზე.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამების შექმნისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. აღნიშნულს ადასტურებს საიტზე განთავსებული პროგრამები, რომელთა ნაწილიც უკვე აკმაყოფილებს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მიღებულ რეგულაციას და წარმოდგენილია მათი 3 წლიანი რედაქციები, 180 კრედიტზე გადანაწილებული კრედიტების მოცულობით.

უნივერსიტეტი ახორციელებს როგორც 240 და 180 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამებს, ასევე 60 კრედიტიან და 120 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამებს, მედიცინის 360 კრედიტიან და დიპლომირებული სტომატოლოგიის 300 კრედიტიან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროგრამების მიხედვით, სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულიებული და შესაბამისობაშია როგორც მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენას, ამ მიმართულებით პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებებს, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების უნიკალურობის დადგენას. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სამიზნე აუდიტორიის გამოკითხვას, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს წლების მიხედვით.

უნივერსიტეტს გააჩნია როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი.

აკადემიური კალენდრის მიხედვით, მაგალითად სამაგისტრო საფეხურზე, გაზაფხულის სემესტრში გათვალისწინებულია 15 სასწავლო კვირა, შუალედური გამოცდებისთვის განსაზღვრულია 2 კვირა, დასკვნითი და განმეორებითი გამოცდებისთვის 3 კვირა.

ამასთან, პროგრამებში გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლის შეცვლილი მოთხოვნები (მაგ.: 180 კრედიტიანი სამართლის საბაკალავრო პროგრამა). პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მარტივად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების, საფეხურებისა და კრედიტების რაოდენობის მიხედვით. მაგ.: ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ განხორციელებული პროგრამები როგორც სწავლების ენის მიხედვით (ინგლისურენოვანი, ქართულენოვანი), ასევე კრედიტების მოცულობის მიხედვით (180 კრედიტიანი, იგივე სამწლიანი) და საფეხურების მიხედვით (საბაკალავრო, სამაგისტრო).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის შესაძლებლობა გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მიხედვით, რომელიც ასევე ადგენს აღნიშნული გეგმის შედგენისა და დამტკიცების პროცესს.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, რომელსაც ხარისხის განვითარების სამსახური სისტემატიურად იყენებს. ასევე, წარმოდგენილია სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების, ლექტორების სტუდენტების მიერ და სხვა დაინტერესებული პირების მიერ შეფასების შედეგები და ანალიზი, მათ საფუძველზე შედგენილი პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშები, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ხარისხის მექანიზმების შესახებ ინფორმირებულები არიან პერსონალი და ასევე, შეფასების სისტემისა და გასაჩვრების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულები არიან სტუდენტებიც. ამავდროულად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-19 მუხლი ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის გასაჩივრების პროცედურას, რაც ინტერვიუების დროსაც დადგინდა რომ ნამდვილად ხორციელდება, საგამოცდო ცენტრის, ლექტორის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ჩართულობით.

ზოგადი კომენტარი - გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს ვიზიტამდე წარმოდგენილი არ ქონდა პროგრამების ჭრილში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობების ამსახველი რაიმე დოკუმენტი/ინფორმაცია, რომლითაც ცხადი გახდებოდა უნივერსიტეტის ხედვა, სტუდენტების რაოდენობის მომატების შემთხვევაში, რამდენი ადგილით გაიზრდებოდა მედიცინის ფიქსირებული მიმართულების გარდა, სხვა პროგრამებზე ადგილები. აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა ვიზიტისას და წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მედიცინის ფაკულტეტის პროგრამების გარდა, ადგილების ყველაზე მეტი რაოდენობა, განისაზღვრება შემდეგნაირად:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამაა, 600 ადგილი;
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 600 ადგილი;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, 450 ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირები საბაკალავრო პროგრამა, 360 ადგილი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, 300 ადგილი;
- მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამა, 300 ადგილი;
- გლობალური ბიზნეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, 300 ადგილი;
- ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, 300 ადგილი.

აღნიშნულ პროგრამებზე, მისაღები ადგილების რაოდენობებისა და ჩარიცხული სტუდენტების თანაფარდობის სამ წლიან სტატისტიკას თუ დავაკვირდებით (რაც ასევე ვიზიტის შემდეგ წარმოადგინეს), გამოცხადებული ადგილების რაოდენობა თითქმის სრულად აითვისება. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გაზრდილი კვოტის შემთხვევაშიც, ქართულენოვან პროგრამებზე 80-90%ით შეივსება გამოცხადებული ადგილების რაოდენობა.

მედიცინის პროგრამის პერსპექტივიდან შეფასება

მედიცინის ფაკულტეტზე უნივერსიტეტი ახორციელებს სამ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის განხორციელების შესაძლებლობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის კონტექსტში, ვინაიდან საბაზისო და კლინიკური სწავლების ეტაპები, მცირე ჯგუფებში სტუდენტზე ორიენტირებული აქტიური სწავლების მეთოდებით, სიმულაციური სწავლება და კლინიკურ გარემოში პრაქტიკული მომზადება განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ და კლინიკურ სასწავლო რესურსებს.

ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციით უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად დააზუსტა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე მოთხოვნილი **9,700 სტუდენტის** კონტინგენტის რაოდენობრივი გაანგარიშება. წარმოდგენილია პროგრამის საბაზისო და კლინიკური ეტაპებისათვის განსხვავებული ჯგუფების ზომები, სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელი, სასწავლო კურსების საკონტაქტო საათები და ჯგუფების რაოდენობა, აგრეთვე აკადემიური და კლინიკური პერსონალის საჭიროების გაანგარიშება.

უნივერსიტეტის მოდელის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი შეადგენს 210 განმახორციელებელ პირს, მაშინ როდესაც

პროგრამაზე მითითებულია 441 აკადემიური/მოწვეული პოზიცია. კლინიკური ეტაპისთვის გათვალისწინებულია 81 ათკაციანი კლინიკური ჯგუფი, ხოლო მათი უზრუნველყოფის გაანგარიშებაში გამოყენებულია კლინიცისტ-ლექტორის დატვირთვის პარამეტრი **C=9**, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დაკავშირებულია არსებული სასწავლო განრიგით დაფიქსირებულ დატვირთვებთან.

წარმოდგენილია ასევე უნივერსიტეტის მასშტაბით სასწავლო ჯგუფების ზრდის პროგნოზი: მიმდინარე სემესტრში არსებული **5498 ჯგუფის** ნაცვლად გაზრდილი კონტინგენტის პირობებში საორიენტაციოდ საჭირო იქნება **7282 ჯგუფის**, ანუ დამატებით **1784 ჯგუფის** შექმნა.

ამასთან, მედიცინის პროგრამის შემთხვევაში ჯგუფების საერთო რაოდენობის ზრდა სრულად ვერ ასახავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ზრდას, ვინაიდან პროგრამის კომპონენტები განსხვავებული ფორმატითა და ჯგუფის ზომით ხორციელდება. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა კლინიკური სწავლების ეტაპზე კლინიკური და პროფესიული უნარების, სიმულაციური სწავლებისა და სამუშაო ადგილზე შეფასებების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობაზე, არამედ კლინიკური ბაზების გამტარუნარიანობაზე, შესაბამისი პროფილის პაციენტთა რაოდენობასა და მრავალფეროვნებაზე, კლინიკური ზედამხედველობის შესაძლებლობასა და თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისი კლინიკური გამოცდილების ხელმისაწვდომობაზე.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების მნიშვნელოვან ნაწილში განსაზღვრულია როგორც ერთდროულად/ჯგუფში მისაღები სტუდენტების რაოდენობა, ისე აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. კერძოდ,

- „ვივამედი“ ითვალისწინებს ერთდროულად **24 სტუდენტის (2 ჯგუფის)** და აკადემიური წლის განმავლობაში მაქსიმუმ **200 სტუდენტის** მიღებას;
- „ინოვა“ — ჯგუფში მაქსიმუმ **12**, აკადემიურ წელს **96** სტუდენტს;
- საოჯახო მედიცინის ქართულ-ამერიკული კლინიკა — ერთდროულად **8**, წლიურად **200** სტუდენტს;
- ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი — **12/100**;
- „ღია გული“ — **12/100**;
- „ჯეო ჰოსპიტალსი“ — **24/500**;

- დავით ტატიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი — **12/100**
- ი.მ. თამარ მინდაძე — **12/100**;
- ა(ა)იპ „რემედიქალი“ — **12/100** სტუდენტს.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილია სხვა კლინიკურ ბაზებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებიც, თუმცა ყველა მათგანში ერთნაირი ფორმით არ არის განსაზღვრული წლიური და ერთდროული გამტარუნარიანობა; ერთ-ერთი წარმოდგენილი ხელშეკრულება კი უროლოგიის სარეზიდენტო პროგრამას ეხება და, შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კლინიკური რესურსის შეფასებაში უშუალოდ ვერ იქნება გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ხელშეკრულებები ადასტურებს კლინიკური ბაზების მიერ სტუდენტთა მიღების რაოდენობრივ შესაძლებლობას. ამასთან, ხელშეკრულებებში გამოყენებული მაჩვენებლები განსხვავებული პერიოდულობითაა წარმოდგენილი — ნაწილი განსაზღვრავს ერთდროულ/ჯგუფურ, ნაწილი კი აკადემიური წლის მაქსიმალურ მოცულობას — რის გამოც მათი მარტივი დაჯამება ვერ იქნება გამოყენებული პროგრამის ერთიანი სემესტრული კლინიკური გამტარუნარიანობის მაჩვენებლად. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშში რიგი კლინიკური ბაზებისათვის მითითებული ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმოდგენილ ხელშეკრულებებში განსაზღვრული მაჩვენებლებისაგან. მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშში „ინოვას“ სამედიცინო ცენტრისათვის მითითებულია ერთდროულად 250 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, „ჯეო ჰოსპიტალსის“ თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრისათვის — 1000, „ვივამედისთვის“ — 140, ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტლისათვის — 250, „ღია გულისათვის“ — 280, ხოლო დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრისათვის — 240 სტუდენტი. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით საჭიროებს დაზუსტებას თვითშეფასების ანგარიშში დეკლარირებული კლინიკური ბაზების ერთდროული გამტარუნარიანობისა და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადასტურებული რაოდენობრივი შესაძლებლობების ურთიერთშესაბამისობა.

უნივერსიტეტს დამატებით წარმოდგენილი აქვს კლინიკურ დაწესებულებებში პაციენტთა ნაკადის მონაცემები სხვადასხვა კლინიკური მიმართულების მიხედვით, რაც კლინიკური სწავლების რესურსის შეფასებისათვის მნიშვნელოვან დამატებით მტკიცებულებას წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული მონაცემები არ არის წარმოდგენილი პროგრამის კონკრეტული კლინიკური კურსებისა და როტაციების მიხედვით ურთიერთდაკავშირებული სახით. ამასთან, ზემოაღნიშნული განსხვავებები კლინიკური ბაზების გამტარუნარიანობის შესახებ წარმოდგენილ მონაცემებს შორის დამატებით ართულებს პროგრამის რეალური კლინიკური capacity-ის განსაზღვრას.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კონტინგენტის გაანგარიშების

დეტალიზებული რაოდენობრივი მოდელი, რომელიც მოიცავს საბაზისო, პრეკლინიკური, კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კომპონენტებისთვის ჯგუფების ზომებს, საკონტაქტო დატვირთვას, საჭირო პერსონალის რაოდენობასა და სიმულაციური ლაბორატორიების გამტარუნარიანობას. წარმოდგენილი მოდელი 9,700 სტუდენტის სცენარში აჩვენებს ადამიანური და სიმულაციური რესურსების შესაბამის რაოდენობრივ რეზერვს. აღნიშნული დამატებითი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსების რაოდენობრივი შესაბამისობა საკმარისად არის დასაბუთებული. ამასთან, პროგრამის სპეციფიკისა და კლინიკური სწავლების მრავალკომპონენტიანი ხასიათის გათვალისწინებით, სასურველია აღნიშნული მოდელის პერიოდული განახლება და კლინიკური კურსების, როტაციების, კლინიკური ბაზების გამტარუნარიანობის, პაციენტთა ნაკადისა და კლინიკური ზედამხედველობის რესურსის კიდევ უფრო ინტეგრირებული ასახვა. ამასთან, მოდელის შემდგომი განვითარებისას მიზანშეწონილია გადაიხედოს საბაზისო/პრეკლინიკური პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყენებული 25-სტუდენტიანი ჯგუფის პარამეტრი და გათვალისწინებულ იქნეს მცირე ჯგუფში სტუდენტზე ორიენტირებული აქტიური სწავლების, პრაქტიკული მუშაობისა და ეფექტური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად უფრო ოპტიმალური, მათ შორის არაუმეტეს 15-სტუდენტიანი ჯგუფის ზომა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“ • დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები, კვლევის შედეგების პრეზენტაცია 2024-2025 შემოდგომის სემეტრი • დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები, კვლევის შედეგების პრეზენტაცია 2025-2026 შემოდგომა • დამსაქმებლის პრაქტიკის სტუდენტებით კმაყოფილების კვლევა - 2025-2026 შემოდგომა • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა 2024 წელი; • სტუდენტთა დასაქმების კვლევა 2025; • სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება 2025 • სტუდენტთა პრაქტიკის კურსით კმაყოფილების კვლევა - 2025-2026 შემოდგომის სემესტრი • შრომის ბაზრის კვლევები • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სამი სემესტრის) • მონიტორინგის და თვითშეფასების შემაჯამებელი ანგარიშები • საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია • სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები, დანართი 8;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები, დანართი 7;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://seu.edu.ge/ka/
- ინტერვიუ

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-სასურველია, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის რაოდენობრივი მოდელი პერიოდულად განახლდეს და მასში კიდევ უფრო ინტეგრირებულად აისახოს კლინიკური კურსებისა და როტაციების მიხედვით სტუდენტთა ჯგუფების განაწილება, კლინიკური ბაზების ფაქტობრივი გამტარუნარიანობა, პროფილურ პაციენტთა ნაკადი და კლინიკური ზედამხედველობის რესურსი.

-მოდელის შემდგომი განვითარებისას მიზანშეწონილია გადაიხედოს საბაზისო/პრეკლინიკური პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყენებული 25-სტუდენტიანი ჯგუფის პარამეტრი და გათვალისწინებულ იქნეს მცირე ჯგუფში სტუდენტზე ორიენტირებული აქტიური სწავლების, პრაქტიკული მუშაობისა და ეფექტური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად უფრო ოპტიმალური, მათ შორის არაუმეტეს 15-სტუდენტიანი ჯგუფის ზომა.

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

4.1. პერსონალის მართვა

უნივერსიტეტს პერსონალის მართვის თვალსაზრისით რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი გააჩნია:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დასაგროვებელი ქულების ოდენობები
- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური პერსონალისათვის)
- აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.

აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია არა მხოლოდ პერსონალის მოზიდვის და შერჩევის პროცესი, არამედ მათი პროფესიული განვითარების საშუალებები და ასევე, აფილირებული პერსონალისთვის ფინანსური წახალისების მოპოვების საფუძლები. ინტერვიუების დროს, როგორც მოწვეულმა, ასევე აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ იცნობენ უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებს მათი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წახალისების/დაფინანსების თვალსაზრისით და უსარგებლიათ კიდევაც ამ შესაძლებლობებით, მაგ.: კონფერენციაზე დასწრების დაფინანსება როგორც ქვეყნის შიგნით ასევე გარეთ, სტატიების მომზადება/გამოქვეყნებაში მხარდაჭერა, შიდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობა/გამარჯვება და ა.შ. როგორც ინტერვიუების დროს პერსონალმა განმარტა, აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს ფაკულტეტების მეშვეობით.

აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი ზუსტად განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ოთხივე აკადემიური პოზიციის დასაკავებლად, როგორც პროფესიული, ისე აკადემიური ნიშნით.

ვიზიტის პერიოდშიც უნივერსიტეტს გამოცხადებული ქონდა კონკურსი აკადემიური პოზიციების დაკავების მიზნით, მცირე ხნით ადრე კი დასრულებული ქონდათ კონკურსი სოციალურ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდა ამ ორ ფაკულტეტზე

თითქმის არაა გათვალისწინებული, კითხვაზე, თუ რა მიზნით მოხდა კონკურსის შედეგად პერსონალის დამატება, ინტერვიუების დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ პერსონალის ოპტიმიზაცია იყო კონკურსების მიზანი და მათ შორის, მოწვეული პერსონალის აკადემიურ პოზიციებზე აყვანა.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშების შინაარსი ითვალისწინებს კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნებს და ასევე, აკადემიური აფილირებული პერსონალის შემთხვევაში მითითებას აკეთებს ქულათა დაგროვების შესაბამის წესზე, როგორც შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

ინტერვიუების დროს თითქმის ყველა მიმართულების აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ნამდვილად აქვთ აკადემიური და სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობისთვის შესაბამისი დრო, შესაბამისად სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის ფონზე მათი დატვირთვა არ გამოიწვევს განსაზღვრული ლიმიტების გადაცილებას. ამავდროულად, ინტერვიუების დროს დადასტურდა მათი პრიორიტეტული თანამშრომლობა უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტმა ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა სემესტრული ცხრილი, სადაც პერსონალის დაბალანსებული დატვირთვაა ნაჩვენები. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის დროს გამოიკვეთა მათი კომპეტენციისა და განათლების შესაბამისობა დაკავებულ პოზიციასთან.

სამართლის, ბიზნესისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს გაზრდილი კვოტის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სტუდენტთა კონტინგენტის მკვეთრი ზრდა ამ სამი ფაკულტეტის შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის.

როგორც ინტერვიუების დროს გამოვლინდა, პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში საგრანტო პროექტებსა და კონფერენციებში როგორც უნივერსიტეტის წინადადების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით. აღნიშნული აქტივობები ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან.

თუმცა, წარმოდგენილი დატვირთვების ცხრილის მიხედვით, რამდენიმე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ფიქსირდება ჯამში 40 საათზე მეტი დატვირთვის შემთხვევა, მაგ.: 51, 44, 48, 52 საათი. რამდენიმე მსგავსი ფაქტი ფიქსირდება მოწვეული პერსონალის დატვირთვების ცხრილშიც, მაგ.: 47, 62, 66, 109.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 9,700-მდე გაზრდის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსის საკმარისობის შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, პერსონალის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ პროგრამის განხორციელებისათვის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის შეფასების თვალსაზრისითაც.

ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციით უნივერსიტეტმა გააზიარა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ადამიანური რესურსის საჭიროების რაოდენობრივი გაანგარიშების მოდელი, რომლის მიხედვით, 9700 სტუდენტის პირობებში საბაზისო ეტაპის განხორციელებისთვის საჭიროა 75 განმახორციელებელი, ხოლო კლინიკური ეტაპისთვის — 135 კლინიცისტი, შესაბამისად, ჯამური საჭიროება განსაზღვრულია 210 პერსონალით. პროგრამაზე მითითებულია 441 აკადემიური/მოწვეული პოზიცია, რის საფუძველზეც დაწესებულება ასაბუთებს ადამიანური რესურსის რაოდენობრივ რეზერვს. კლინიკური ეტაპისთვის მოდელი ითვალისწინებს სემესტრულ ნაკადზე 81 ათკაციან კლინიკურ ჯგუფს და კლინიცისტ-ლექტორის დატვირთვის C=9 პარამეტრს, ანუ ერთი კლინიცისტის მიერ სემესტრში ცხრა ჯგუფის წარმართვას.

კლინიცისტ-ლექტორის C=9 პარამეტრი ასახავს კლინიკური ჯგუფების წარმართვის რაოდენობრივ შესაძლებლობას, გასათვალისწინებელია, რომ კლინიკური სწავლების ადამიანური რესურსის საკმარისობა დაკავშირებულია შესაბამისი პროფილის კლინიცისტის ხელმისაწვდომობასთან კონკრეტული კლინიკური კურსისა და როტაციისთვის, კლინიკურ ბაზაზე მის ფაქტობრივ ჩართულობასთან და სტუდენტთა კლინიკური ზედამხედველობის შესაძლებლობასთან. ამდენად, 135 კლინიცისტ-ლექტორის რაოდენობრივი საჭიროების განსაზღვრა მნიშვნელოვანია, თუმცა მისი შესაბამისობა პროგრამის რეალურ კლინიკურ დატვირთვასთან საჭიროებს ამ რესურსის განაწილების გათვალისწინებას კლინიკური მიმართულებებისა და როტაციების მიხედვით.

არსებული სასწავლო განრიგიდან პერსონალის ფაქტობრივი დატვირთვის მაგალითები და წარმოდგენილი გაანგარიშება მნიშვნელოვნად აძლიერებს მოთხოვნილი კონტინგენტის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის რაოდენობრივ დასაბუთებას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებაში მითითებულია **441 აკადემიური და მოწვეული პოზიცია**, მათ შორის **157 აკადემიური და 284 მოწვეული პოზიცია**. აკადემიური პოზიციებიდან **52 აფილირებულია** (32 პროფესორი, მათ შორის

11 აფილირებული, 37 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის 17 აფილირებული, 36 ასისტენტ-პროფესორი, რომელთაგან 24 აფილირებულია).

ამასთან, აკადემიური და მოწვეული პოზიციების საერთო რაოდენობა თავისთავად არ წარმოადგენს პროგრამისათვის ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსის ეკვივალენტურ მაჩვენებელს, ვინაიდან პერსონალის ნაწილი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს. შესაბამისად, ადამიანური რესურსის რეალური გამტარუნარიანობის შეფასებისას მნიშვნელოვანია პერსონალის რაოდენობასთან ერთად მისი ფაქტობრივი სასწავლო დატვირთვისა და სხვა პროგრამებში ჩართულობის გათვალისწინება.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი დატვირთვების მონაცემებში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან დაკავშირებული ცალკეული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემთხვევაშიც ფიქსირდება 40 საათზე მეტი ჯამური საათობრივი დატვირთვა; კერძოდ, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში წარმოდგენილია 48 და 52 საათის, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — 41, 42, 43 და 66 საათის ჯამური დატვირთვები.

სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში მხოლოდ პერსონალის საერთო რაოდენობაზე დაფუძნებული რეზერვი სრულად ვერ ასახავს პროგრამისათვის დამატებით ხელმისაწვდომ ადამიანურ რესურსს, თუმცა მედიცინის სკოლის წარმომადგენლებმა მიუთითეს პოტენციური განმახორციელებელი პერსონალის არსებობაზე, რომელთა პროგრამაში ჩართვა გათვალისწინებულია სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი აკადემიური და კლინიკური ადამიანური რესურსი, დამატებით წარმოდგენილი გაანგარიშება მნიშვნელოვნად აძლიერებს 9,700 სტუდენტზე გათვლილი პერსონალის რაოდენობრივი საჭიროების დასაბუთებას. წარმოდგენილი მოდელი ძირითადად ეფუძნება აკადემიური/მოწვეული პოზიციების რაოდენობასა და პერსონალის საშუალო გამტარუნარიანობის შესახებ დაშვებებს, რაც სრულად არ ასახავს პროგრამისათვის პერსონალის ფაქტობრივ ხელმისაწვდომობას, არსებული დატვირთვის, სხვა პროგრამებში ჩართულობისა და კლინიკური მიმართულებების მიხედვით საჭირო ადამიანური რესურსის განაწილების გათვალისწინებით.

ამდენად, წარმოდგენილი მონაცემებით იკვეთება ადამიანური რესურსის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი რეზერვი, თუმცა მოთხოვნილი 9,700 სტუდენტის

პირობებში მისი საკმარისობის შეფასება საჭიროებს პერსონალის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის, არსებული და პროგნოზირებული სასწავლო დატვირთვის, სხვა პროგრამებში ჩართულობისა და კლინიკური მიმართულებების მიხედვით რესურსის განაწილების ერთობლივ გათვალისწინებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• პერსონალის მართვის პოლიტიკა; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დასაგროვებელი ქულების ოდენობები; • პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური პერსონალისათვის); • აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი; • შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები; • QMS აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები; • ინტერვიუ;
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
–
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
-სასურველია, დაწესებულებამ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ადამიანური რესურსის დაგეგმვისას რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად უზრუნველყოს პერსონალის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობისა და დატვირთვის სისტემური შეფასება, მათ შორის სხვა პროგრამებში ჩართულობისა და კლინიკური მიმართულებების/როტაციების მიხედვით საჭირო ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი უზრუნველყოფს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცესების გამჭვირვალე, სამართლიან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამის წარმართვას. აღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩო საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის) გამოცდების გარეშე. აპლიკანტი სტუდენტი ხდება ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გატარების, უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებისა და რექტორის შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ.

სწავლის პროცესში სტუდენტს შეუძლია დროებით შეაჩეროს სტატუსი პირადი გარემოებების გამო, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზღვარგარეთ სწავლა, ორსულობა ან ბავშვის მოვლა. სტატუსის შეჩერება ასევე დგება რეგისტრაციის გაუვლელობის ან ფინანსური დავალიანების წარმოქმნისას. შეჩერების მაქსიმალური ვადა 5 წლით განისაზღვრება. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს სწავლის გაგრძელება/სტატუსის აღდგენა, რაც ხორციელდება აკადემიურ მენეჯერთან შეთანხმებითა და შესაბამის ჯგუფში თავისუფალი ადგილის არსებობის შემთხვევაში.

სტატუსის შეწყვეტის საფუძველია შეჩერების 5-წლიანი ვადის ამოწურვა, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, პირადი განცხადება ან დისციპლინური გადაცდომა. სტატუსის შეწყვეტის შემდეგ 12 თვის განმავლობაში პირს უნარჩუნდება მობილობის უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

სტუდენტთა აკადემიური მობილობა ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე ფორმით. შიდა მობილობა გულისხმობს უნივერსიტეტის შიგნით ერთი საგანმანათლებლო

პროგრამიდან მეორეზე გადასვლას, ხოლო გარე მობილობა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სეუ-ში გადმოსვლას. მობილობის პროცესში დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობა და ხდება შესაბამისი აკადემიური კრედიტების აღიარება.

სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცესი გულისხმობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ან წინა სწავლისას ათვისებული შედეგების/კრედიტების შედარებას სეუ-ს მოქმედ პროგრამასთან. აღნიშნულ პროცედურას ახორციელებს სპეციალური კომისია სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტისა და კრედიტის სრულად დაძლევის შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება რექტორის აქტით, რის საფუძველზეც გაიცემა სახელმწიფო დიპლომი თანდართულ დანართთან ერთად.

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის აკადემიური, ადმინისტრაციული, ფინანსური, კარიერული და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნას. სტუდენტის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ეფექტიანი ინტეგრაციისა და ადაპტაციის უზრუნველსაყოფად, სასწავლო წლის დაწყებამდე რეგულარულად ტარდება საორიენტაციო შეხვედრები როგორც ადგილზე, ისე დისტანციურ ფორმატში, სადაც ახალგაზრდები დეტალურად ეცნობიან უნივერსიტეტის სტრუქტურასა და სერვისებს.

ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესებთან წვდომის გამარტივების მიზნით, უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემა emis.seu.edu.ge სრულად გაციფრულებულია და ინტეგრირებულია შიდა ბაზებთან. სტუდენტებს უნივერსიტეტში ფიზიკურად გამოცხადების გარეშე, მუდმივ რეჟიმში აქვთ წვდომა სასწავლო გეგმებზე, სილაბუსებზე, ფინანსურ მოდულზე, დოკუმენტების ელექტრონულად მოთხოვნასა და აკადემიურ კონსულტირებაზე. სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, რაც მოიცავს ოფიციალურ ვებგვერდს, პორტალს, სოციალურ ქსელებს, SMS შეტყობინებებს, კორპორატიულ ელფოსტას, ქოლ-ცენტრსა და კამპუსში განთავსებულ საინფორმაციო ეკრანებს. ვებგვერდზე ასევე ჩაშენებულია ხელოვნური ინტელექტის ასისტენტი და ხშირად დასმული კითხვების მოდული, რაც ოპერატიულს ხდის სტუდენტთა მიერ საჭირო ინფორმაციის მიღებას.

სეუ-ში მოქმედებს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვანი სისტემა. შიდა სასტიპენდიო პროგრამების გარდა, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს

სოციალურ და აკადემიურ მოსწრებაზე დაფუძნებულ დაფინანსებებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად აფინანსებს სტუდენტთა მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, გასვლით კონფერენციებში. ყოველწლიურად ტარდება ორი მულტიდისციპლინარული სტუდენტური კონფერენცია, რაც ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას. საერთაშორისო დეპარტამენტი კი უზრუნველყოფს მოკლე და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებს, სადაც სტუდენტთა მონაწილეობას გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და სპეციალური კომისიის შეფასების საფუძველზე ხდება.

სტუდენტების სოციალურ-კულტურულ და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნავს კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სტუდენტურ კლუბებთან. სტუდენტთა ფსიქო-ემოციური კეთილდღეობისთვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაციისა და გამოკითხვების საფუძველზე, ადგენს აქტუალური პროექტების ჩამონათვალს, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის პროექტებს. Ისინი აქტიურად მონაწილეობენ ყოველწლიურ სტუდენტურ ფესტივალში და ერთვებიან უნივერსიტეტთაშორის საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. Აღსანიშნავია უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სტუდენტური კლუბები: ფსიქოლოგთა კლუბი, იურიდიული კლუბი, ბიზნესის კლუბი, ციფრულ მეცნიერებათა კლუბი. Აღნიშნული კლუბები უზრუნველყოფენ დარგობრივი აქტივობების ორგანიზებას, რაც აერთიანებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებს. Მნიშვნელოვანია ინტერნაციონალური კულტურული პროექტების ხელშეწყობაც, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარმოაჩინო საკუთარი კულტურა და მარტივად ადაპტირდნენ ახალ გარემოში.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებას უზრუნველყოფს კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც რეგულარულად ატარებს დასაქმების ფორუმებს, ტრენინგებსა და ვორქშოფებს, ხოლო არსებულ ვაკანსიებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ოპერატიულად აწვდის SMS და ონლაინ არხებით. პრაქტიკისა და სტაჟირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, პროცესის დასრულების შემდეგ უკუკავშირის მიღება ხორციელდება როგორც სტუდენტებისგან, ისე პრაქტიკის ხელმძღვანელებისგან, რის საფუძველზეც ხდება პროგრამების გაუმჯობესება. კურსდამთავრებულებთან მუდმივი კავშირის შესანარჩუნებლად აქტიურად ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა კლუბი. სტუდენტური სერვისების ხარისხის მუდმივი მონიტორინგისა და სწრაფი რეაგირების მიზნით, სემესტრში ორჯერ ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კომპლექსური გამოკითხვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • ინტერვიუ სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრთან • ინტერვიუ კარიერული განვითარების ცენტრთან • სტუდენტური კლუბების დებულება • კვლევის შედეგების პრეზენტაცია – 2024–2025 წლების შემოდგომის სემესტრი • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა • სტუდენტთა დასაქმების კვლევა 2025 • უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ 2025 • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა პრაქტიკის/სტაჟირების კურსის შესახებ • SEU-ს ვებგვერდი
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
–
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
–

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს კვლევის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, საგრანტო აქტივობების ხელშეწყობას, სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდასა და სტუდენტთა კვლევით პროცესში ჩართულობის

გაფართოებას. კვლევითი საქმიანობის მართვა ხორციელდება შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების მეშვეობით, ხოლო კვლევის განვითარების პროცესში განსაზღვრულია პასუხისმგებელი ერთეულები, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

სტრატეგიული დოკუმენტებისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტი თანმიმდევრულად ავითარებს კვლევით გარემოს, ზრდის საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით აქტივობებს და უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული ვიზიტი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ავითარებს კვლევით ინფრასტრუქტურას, ზრდის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, აფართოებს საერთაშორისო პარტნიორობას და ქმნის დამატებით შესაძლებლობებს კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის. ასევე იკვეთება კვლევითი პროექტებისა და სამეცნიერო აქტივობების ზრდის ტენდენცია, რაც უნივერსიტეტის განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე მიუთითებს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არსებული კვლევითი რესურსები და მართვის მექანიზმები უნივერსიტეტს აძლევს კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

დაწესებულებაში კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში და კავშირშია პერსონალის შეფასებასთან. დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა კვლევით პროცესებს საფრთხეს არ უქმნის.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულების შესაბამისად, კვლევით პროდუქტიულობას აფასებს სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახური. შეფასების პროცესი მოიცავს აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ თვითშეფასებასა და ფაკულტეტების დონეზე აგრეგირებული მონაცემების ანალიზს (მაგ., 2026 წლის თებერვალში ფაკულტეტების ადმინისტრაციებთან გამართული შეხვედრები შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით). შეფასების სისტემა ემსახურება პერსონალის ფინანსურ წახალისებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობის მქონე (40 ქულაზე მეტი) აფილირებულ პერსონალზე გაიცემა ფულადი ჯილდოები; კერძოდ, 2025 და 2026 წლებში გამოიცა რექტორის ბრძანებები აფილირებული პერსონალისთვის ინდივიდუალურად 2000-ლარიანი პრემიების გაცემის თაობაზე (2025 წელს ჯამში 8000 ლარი). ამასთან, ინსტიტუციური კვლევითი

ფონდის (IRF) ბიუჯეტიდან ფინანსდება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და პუბლიკაციების გამოქვეყნება (2025 წელს აფილირებულ პროფესორებზე ამ მიზნით გაიცა 13,687 ლარი).

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის კავშირს. ექსპერტთა ინტერვიუებით დადგინდა, რომ მიმდინარე კვლევით პროექტებში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულნი არიან მოწვეული ლექტორები და სამაგისტრო/საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები. ამ მიდგომის პრაქტიკული მაგალითია ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე მულტიდისციპლინური კვლევა უცხოელი სტუდენტების აკულტურაციისა და ასერტულობის თემატიკაზე.

შეფასების სისტემა ფარავს საგრანტო აქტივობების მონიტორინგსაც. 2020-2024 წლებში უნივერსიტეტმა 30-ზე მეტი შიდა საგრანტო პროექტი დააფინანსა, ხოლო ეროვნულ დონეზე 2025 წელს უნივერსიტეტის პერსონალმა მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 საგრანტო დაფინანსება.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი დატვირთვის კომპლექსური ანალიზისა და მონიტორინგის დამატებითი მოდელი. მოდელი მოიცავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, აკადემიური დატვირთვისა და კვლევითი დროის შეფასებას, სამეცნიერო პროდუქტიულობის მონიტორინგს, მონაცემთა პერიოდულ ანალიზსა და შესაძლო უარყოფითი დინამიკის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს.

წარმოდგენილი გაანგარიშებებით, სტუდენტთა მოთხოვნილი კონტინგენტის პირობებშიც აკადემიური პერსონალის საშუალო სასწავლო დატვირთვა არ აღწევს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს და შენარჩუნებულია კვლევითი საქმიანობისთვის შესაბამისი დროითი რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ რეკომენდაციის საფუძვლად არსებული საკითხი დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებებით სათანადოდ იქნა დასაბუთებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება;
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და რეაგირების დოკუმენტი;
- სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების 2025 წლის ანგარიში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასების კვლევის ანალიტიკური ანგარიშები;
- რექტორის ბრძანებები (№204 და №530) აფილირებული პერსონალის მიმართ წახალისების გამოყენების შესახებ;
- სეუ-ს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების 2025 წლის ანგარიში;
- სეუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 10 მარტის სხდომის ოქმი № 01;

• ექსპერტთა ინტერვიუები სამეცნიერო მიმართულების ვიცე-რექტორთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
- სასურველია, უნივერსიტეტმა შემდგომშიც სისტემურად გამოიყენოს და პერიოდულად განაახლოს აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი დატვირთვის კომპლექსური მონიტორინგის მოდელი, განსაკუთრებით სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და მატერიალური ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ფლობს მნიშვნელოვან მატერიალურ, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც ქმნის სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის მხარდაჭერის საფუძველს. უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს არსებული და გაფართოებადი სასწავლო ინფრასტრუქტურა, განვითარებული საბიბლიოთეკო მომსახურება, პროცესების ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი, გამართული საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური დაგეგმვა.

ამასთან, სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის 11 100-დან 16 400-მდე გაზრდის მასშტაბის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების იურიდიული თუ საპროექტო დადასტურება, არამედ მათი ვიზიტის მომენტისთვის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და სრული ფუნქციური მზადყოფნა.

მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტმა წარმოადგინა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები, შენობა-ნაგებობების გეგმები და მიმდინარე თუ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები. წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს სასწავლო, ადმინისტრაციულ, საბიბლიოთეკო, კვლევით, კლინიკურ და სტუდენტურ სივრცეებს. განაცხადში უნივერსიტეტი მიუთითებს 37 790 კვ.მ სასწავლო ფართს, 4 050 კვ.მ საბიბლიოთეკო სივრცეს და 1 970 კვ.მ სამეცნიერო და კვლევით ლაბორატორიებს.

უძრავი ქონების ამონაწერებით დასტურდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული რამდენიმე შენობა და მიწის ნაკვეთი. მათ შორის, წინანდლის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ შენობაში გამოყოფილია 2 089.4 კვ.მ სასწავლო აუდიტორიების ფართი, ხოლო სხვა მისამართებზე წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მოცულობის საოფისე, სასწავლო და დამხმარე სივრცეები.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის სასწავლო, ადმინისტრაციული, საბიბლიოთეკო და სპეციალიზებული სივრცეები. დათვალიერებამ დაადასტურა, რომ ბოლო პერიოდში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და განახლებაში. არსებული სივრცეების დიდი ნაწილი კეთილმოწყობილი, გარემონტებული და სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი იყო. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა დანიშნულების აუდიტორიები, კომპიუტერული სივრცეები, სიმულაციური ლაბორატორიები და სტუდენტური მომსახურების სივრცეები.

მედიცინის მიმართულებისათვის მნიშვნელოვანია სიმულაციური ლაბორატორიების არსებობა და მათი საქმიანობის ინსტიტუციური რეგულირება. წარმოდგენილი დებულება განსაზღვრავს სიმულაციური ლაბორატორიის ფუნქციებს, მართვასა და გამოყენების წესებს. სტუდენტთა კონტიგენტის დამატებით წარმოდგენილი ანალიზის თანახმად, უნივერსიტეტს აქვს 19 სიმულაციური ლაბორატორია და გაანგარიშებული აქვს მათი დატვირთვა გაზრდილი კონტიგენტის პირობებში. წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, საჭირო 204 საათთან მიმართებით ლაბორატორიების შესაძლო კვირეული დატვირთვა 228 საათს შეადგენს, თუმცა აღნიშნული გათვლა დამოკიდებულია სივრცეების 12-საათიანი სამუშაო რეჟიმით გამოყენებაზე.

ვიზიტის პერიოდში მიმდინარე სარემონტო და აღჭურვითი სამუშაოები შეეხებოდა სპორტულ, ფიტნეს, საკონცერტო, საცურაო და კვების სივრცეებს, რომლებიც არ

წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ სასწავლო/აკადემიურ ფართს. შესაბამისად, აღნიშნული სივრცეების დასრულება არ წარმოადგენს მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ათვისებისთვის აუცილებელ წინაპირობას და არ ახდენს გავლენას სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, სასწავლო ჯგუფების განაწილებასა და აკადემიური კალენდრის განხორციელებაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ვიზიტის პერიოდში არსებული სარემონტო სამუშაოები არ ქმნის სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობას.

საბიბლიოთეკო რესურსები

უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი და მრავალფუნქციური ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის წვდომას როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსებზე. ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულმა საბიბლიოთეკო სივრცემ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. ბიბლიოთეკაში შექმნილია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, სამეცადინო და ელექტრონულ რესურსებთან წვდომის პირობები. წარმოდგენილი სივრცე, ფონდი და მომსახურება ქმნის შესაბამის გარემოს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრავს მომხმარებელთა მომსახურების, რესურსებზე წვდომისა და ბიბლიოთეკის გამოყენების პირობებს. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებისა და შევსების პროცედურებით განსაზღვრულია ფონდის სისტემური განახლება, სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან არსებული ფონდის შედარება, პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნების მიღება და რესურსების შეძენის პროცესში მათი გათვალისწინება.

სიბლიოთეკის ფინანსური დაგეგმვა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს ფონდისა და ელექტრონული რესურსების განახლებას გაზრდილი კონტიგენტის პირობებშიც.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ არსებული საბიბლიოთეკო რესურსი და მომსახურება კარგია და ქმნის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მომსახურების მნიშვნელოვან საფუძველს, თუმცა კონტიგენტის ზრდასთან ერთად მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის დატვირთვის, სამუშაო ადგილების საკმარისობისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების პერიოდული მონიტორინგი.

საინფორმაციო რესურსი

უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და პროცესების ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი. სასწავლო, ადმინისტრაციული, საგამოცდო, ხარისხის უზრუნველყოფის,

სტუდენტთა მომსახურებისა და ანგარიშგების პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემების საშუალებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს IT ინფრასტრუქტურის მართვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს, მათ შორის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების – reg.seu.edu.ge-ისა და emis.seu.edu.ge-ის ადმინისტრირებას. პოლიტიკა სავალდებულოა სისტემებით მოსარგებლე ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ პროცესების ავტომატიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტთა მონაცემების შენახვით და მოიცავს ინსტიტუციური მართვის მრავალ მიმართულებას. აღნიშნული ამცირებს პროცესების ხელით ადმინისტრირების საჭიროებას, ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ოპერატიულობასა და მიკვლევადობას და ქმნის სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის ეფექტიანად მართვის წინაპირობას.

საერთო შეფასებით, არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და პროცესების ავტომატიზაციის ხარისხი შეესაბამება სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საჭიროებებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სისტემური ნაკლოვანება ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.

ფინანსური რესურსი

უნივერსიტეტს გააჩნია ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური რესურსების მართვისა და კონტროლის სისტემას, პასუხისმგებელ პირებსა და ორგანოებს, ბიუჯეტის მომზადების, ფინანსური ანგარიშგების, რისკების შეფასებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ფინანსური მართვის პროცესზე პასუხისმგებლობა ეკისრება რექტორსა და ფინანსურ კომიტეტს. ფინანსური კომიტეტის ფუნქციებში შედის კვარტალური ფინანსური ანგარიშების მომზადება, წლიური და მრავალწლიანი ბიუჯეტების შედგენა, შესყიდვების გეგმის შეფასება, ფინანსური რისკების ანალიზი და უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის შეფასება.

ფინანსური მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ფინანსურ დაგეგმვას როგორც წლიური, ისე მრავალწლიანი მიდგომით და ფინანსური და სტრატეგიული დაგეგმვის ურთიერთკავშირს. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია შიდა კონტროლის, შიდა აუდიტისა და გარე აუდიტორის გამოყენების შესაძლებლობა ფინანსური და ოპერაციული პროცედურების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად.

წარმოდგენილი 2025–2026 წლების ბიუჯეტის, ასევე პროგნოზირებადი ბიუჯეტის მიხედვით, უნივერსიტეტი მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მიმართავს ინფრასტრუქტურის გაფართოების, აღჭურვისა და სტუდენტთა მომსახურების

შესაძლებლობების ზრდისკენ. წარმოდგენილი ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების დადებით სხვაობას აჩვენებს და ითვალისწინებს როგორც მიმდინარე საქმიანობის, ისე კაპიტალური განვითარების პროექტების დაფინანსებას. ამავე დროს, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია სწავლის საფასურიდან, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავლებზე. ასევე მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალური პროექტები ფინანსდება სესხისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების გამოყენებით. წარმოდგენილი ფინანსური პოლიტიკა და ბიუჯეტი ადასტურებს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მიმდინარე საქმიანობა და დააფინანსოს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. თუმცა, ვინაიდან ვიზიტის მომენტისთვის კაპიტალური პროექტების ნაწილი დასრულებული არ იყო და დაგეგმილი კონტიგენტის სრული მომსახურება ნაწილობრივ სწორედ აღნიშნული პროექტების დროულ დასრულებაზეა დამოკიდებული, ფინანსური შესაძლებლობა უნდა შეფასდეს მათი ფაქტობრივი შესრულებისა და შესაბამისი ფინანსური რისკების მართვის კონტექსტშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ უნივერსიტეტის განაცხადი და თვითშეფასების ანგარიში; • უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ამონაწერები; • შენობა-ნაგებობების არქიტექტურული გეგმები და საპროექტო დოკუმენტაცია; • მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ლაბორატორიის დებულება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და შევსების პროცედურები; • ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა; • ფინანსური მართვის პოლიტიკა; • ბიუჯეტის ფაილები; • სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის დამატებითი ანალიზი; • ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები; • ინტერვიუების შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
-სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმილ ვადებში დაასრულოს მიმდინარე დამხმარე ინფრასტრუქტურის სარემონტო და აღჭურვითი სამუშაოები და სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პარალელურად გააგრძელოს შესაბამისი სივრცეების გამოყენებისა და დატვირთვის მონიტორინგი.

-მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის პარალელურად პროგრამებისა და შენობების მიხედვით სისტემატურად განახორციელოს აუდიტორიების, საბიბლიოთეკო სამუშაო ადგილების, სიმულაციური ლაბორატორიების და სხვა საერთო სივრცეების ფაქტობრივი დატვირთვის მონიტორინგი და შედეგები დაუკავშიროს ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ დაგეგმვას.

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ირინე ფხაკაძე (წევრი)
3. ეკა კაველიძე (წევრი)
4. გაგა გვენეტაძე (წევრი)
5. ციცი პაპუნაშვილი (წევრი)